



პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“  
საქართველოს კანონის პროექტის მიმოხილვა

(მესამე წარდგენა)

---

დეკემბერი, 2015 წელი

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

2015 წელი

## შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
1. ფისკალური გარემო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში.....	6
1.1. ძირითადი ფისკალური რისკები საშუალოვადიანი პერიოდისათვის .....	6
1.2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები.....	9
2. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიმოხილვა .....	12
2.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.....	12
2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები .....	18
2.3. სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დინამიკა.....	22
3. დანართები .....	26

## შემაჯამებელი მიმოხილვა

### ფისკალური გარემო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში

- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ეყრდნობა ეკონომიკური გარემოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ საბაზისო სცენარს 2016 წლისათვის: ეკონომიკური ზრდა 3%; ინფლაცია 5.5%. აღნიშნული სცენარის განვითარების შემთხვევაში, 2016 წლისათვის მიმდინარე წელთან მიმართებაში გათვალისწინებულია ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ზრდა 673.4 მლნ ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) შემცირება 62.3 მლნ ლარით.
- გარდა ზემოაღნიშნულისა, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს თან ერთვის ინფორმაცია ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების შესახებ, რომელიც ასახავს მაკროეკონომიკური გარემოს განვითარების ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს და ფისკალური პოლიტიკის შესაბამის საპასუხო ნაბიჯებს. ასევე საყურადღებოა, რომ ფისკალური სექტორის რისკების შესახებ ინფორმაცია მოიცავს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც.
- მაკროეკონომიკური გარემოს პოზიტიური სცენარით განვითარების შემთხვევაში, საბაზისო სცენართან შედარებით წარმოდგენილი მაჩვენებლებით გათვალისწინებულია მიმდინარე და არაფინანსური აქტივების შემცირება (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) სტაბილურობის შენარჩუნება, რაც ჯამში განაპირობებს ბიუჯეტის დეფიციტის გაუმჯობესებას. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, ოპტიმისტური სცენარით გათვალისწინებული ფისკალური პოლიტიკის პასუხები, მოითხოვს მკაცრ ფისკალურ დისციპლინას, რაც შესაძლებელია რთულად განსახორციელებელი იყოს.
- რაც შეეხება მაკროეკონომიკური გარემოს პესიმისტური სცენარით განვითარებას, აღნიშნული სცენარისათვის მთავრობის პოლიტიკის პასუხად, 2016 წლისათვის და საშუალოვადიან პერიოდში გათვალისწინებულია საბაზისოსთან შედარებით კაპიტალური ხარჯების შემცირება, თუმცა საბაზისო სცენარის დონეზე ნარჩუნდება მიმდინარე ხარჯების ოდენობა. ამასთან პოლიტიკის პასუხად მითითებულია „2017 წლის ბიუჯეტში 2016 წლის კაპიტალური ხარჯების დანაკარგების კომპენსირება და მიმდინარე ხარჯების ზრდის შეჩერება“. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მაკროეკონომიკური გარემოს პესიმისტური სცენარით განვითარების შემთხვევაში გათვალისწინებული პოლიტიკის პასუხები, კერძოდ, ეკონომიკური ზრდის შენელების პასუხად კაპიტალური ხარჯების არსებითი შემცირება კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე საშუალოვადიან პერიოდში, ასევე პოლიტიკის პასუხებში ნახსენები დანაკარგების 2017 წელს კომპენსირების და მიმდინარე ხარჯების ზრდის შეჩერება მოითხოვს კიდევ უფრო მკაცრ ფისკალურ დისციპლინას, ვიდრე საბაზისო სცენარის შემთხვევაშია გათვალისწინებული.
- რაც შეეხება ძირითად ფისკალურ ინდიკატორებს, აღნიშნული ინდიკატორების დინამიკა შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრული მიმართულება

(მასტიმულირებელი თუ შემზღუდველი) და ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური ციკლის ეტაპის გათვალისწინებით (ფისკალური პოლიტიკის ანტიციკლურობა-ანუ ეკონომიკური ციკლის გავლენის შემსუბუქება თუ პროციკლურობა). წარმოდგენილი მაჩვენებლებით, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი 2016 წლისათვის (GFSM 2001) მშპ-სთან მიმართებაში 1.1%-ს შეადგენს და 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ზრდის ტენდენციას ავლენს. მთლიანი ფისკალური დეფიციტის მოცულობა კი მშპ-ს 3%-ის დონეზე ნარჩუნდება.

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

- 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2016 წლისთვის განსაზღვრულია 10,145 მლნ ლარის დონეზე და ბიუჯეტის პირველ წარდგენასთან შედარებით იზრდება 225.0 მლნ ლარით (2.3%-ით), ძირითადად შემოსავლების (კერძოდ კი გადასახადების), აგრეთვე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით შემოსულობების მატების გავლენით. შესაბამისად, 2015 წელთან შედარებით შემოსულობების ზრდის მაჩვენებელიც იმატებს 400.0 მლნ ლარით (4.1%-ით).
- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2016 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 8,033 მლნ ლარს, რაც 2016 წლისთვის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილ გეგმას 53.4 მლნ ლარით (0.7%-ით) აჭარბებს. აღნიშნული სხვაობა ძირითადად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლები აღემატება წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს მოგების გადასახადისა (127.1 მლნ ლარით) და დამატებული ღირებულების გადასახადისათვის (69 მლნ ლარით).
- კანონპროექტით, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა მიმდინარე წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 30.0 მლნ ლარით და შეადგენს 320.0 მლნ ლარს. ცვლილება ძირითადად ეხება შერეულ და არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს, რომლის გეგმური მოცულობაც იზრდება 26.2 მლნ ლარით, 107.2 მლნ ლარამდე.

### სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

- 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 10,145 მლნ ლარის დონეზე და 2015 წლის ბიუჯეტის კანონით (მიმდინარე წლის 27 ნოემბერს დამტკიცებული 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი) განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 5.5%-ს შეადგენს.
- გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელებისათვის მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით გათვალისწინებულია ზრდა ხარჯებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლის გადასახდელებისათვის და შემცირება ეხება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს (ე.წ. კაპიტალური ხარჯები).
- რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით გათვალისწინებულია ზრდა როგორც

ხარჯების, ისე არაფინანსური აქტივების ზრდისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლის გადასახდელებისათვის. კერძოდ, ხარჯების ზრდის მაჩვენებელი 433.1 მლნ ლარს (5.3%-ით), არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 51 მლნ ლარს (7.3%-ით), ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი 70.8 მლნ ლარს (21.1%-ს) შეადგენს.

- რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ტიპის გადასახდელების გეგმური მაჩვენებლის შემცირება 257.9 მლნ ლარით მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით, რაც ძირითადად უკავშირდება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების 233.1 მლნ ლარით (27.3%-ით) და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდის/სოფლის მხარდაჭერის პროგრამის 105.0 მლნ ლარით (27.3%-ით) შემცირებას. აღნიშნული თავის მხრივ დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ცვლილების საფუძველზე, 2016 წლიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულების ბიუჯეტში მიიმართება საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სახე (ჯამურად, დაახლოებით 300 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტების დაფინანსების მიზნებისთვის.

#### **სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დინამიკა**

- საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის (III) მიხედვით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით გათვალისწინებულია ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შემცირება, უმეტესად საშინაო წყაროებიდან მისაღები შემოსულობების შემცირების ხარჯზე. კერძოდ, საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 200 მლნ ლარის დონეზე, რაც 2015 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელზე 115 მლნ ლარით (-36.5%) ნაკლებია, ხოლო საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით მისაღები შემოსულობების გეგმა გაზრდილია 59 მლნ ლარით.

## 1. ფისკალური გარემო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში

ფისკალური გარემოს და ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს შესაბამისი პერიოდისათვის მაკროეკონომიკური გარემოს მოსალოდნელი განვითარებისა და მასთან დაკავშირებული რისკების ანალიზს, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი ფისკალური ინდიკატორების მიმოხილვას ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასებისათვის. შესაბამისად, ანგარიშის პირველი ნაწილი მიმოიხილავს, ერთი მხრივ, მთავრობის მიერ წარმოდგენილი საბაზისო სცენარით ფისკალური გარემოს მოსალოდნელ განვითარებას და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმილ პასუხებს მაკროეკონომიკური პარამეტრების საბაზისოსგან განსხვავებული განვითარების შემთხვევაში, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი ფისკალური ინდიკატორების საპროგნოზო მაჩვენებლებს 2016 წლისათვის.

### 1.1. ძირითადი ფისკალური რისკები საშუალოვადიან პერიოდისათვის

კონკრეტული წლის ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრის და შესაბამისად, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა მაკროეკონომიკური გარემოსა და ცალკეულ ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებთან დაკავშირებული რისკებისა და აღნიშნულ რისკებზე ფისკალური პოლიტიკის შესაძლო პასუხების ანალიზს-არა მხოლოდ შესაბამისი წლის, არამედ საშუალოვადიან პერიოდისათვის. შესაბამისად, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზისათვის, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა სწორედ აღნიშნული მაჩვენებლებისა და რისკების ანალიზი.


2014 წელს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად, რომელიც ასახავს იმ საბაზისო სცენარს, რომელსაც ეყრდნობა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენილი და ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს თან ერთვის ინფორმაცია ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების შესახებ, რომელიც ასახავს ინფორმაციას საბიუჯეტო აგრეგატების ფორმირებისას გამოყენებული საბაზისო მაკროეკონომიკურ დაშვებებთან დაკავშირებულ რისკებზე და აღნიშნული რისკების რეალიზაციის შემთხვევაში, საბიუჯეტო აგრეგატებზე მათი ზეგავლენისა და პოლიტიკის პასუხებზე, როგორც დასაგეგმი წლისათვის, ისე საშუალოვადიან პერიოდში. საერთაშორისო პრაქტიკით<sup>1</sup>, ფისკალური რისკი განიმარტება, როგორც ფისკალური აგრეგატების გადახრები იმ მოსალოდნელი მაჩვენებლებისაგან, რომლებიც განისაზღვრა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ან ფისკალური პროგნოზების ფორმირებისას. ფისკალური რისკების ძირითად წყაროებად გამოყოფენ მაკროეკონომიკური ცვლადების მოულოდნელ ცვლილებას და სახელმწიფოს პირობით ვალდებულებებს. რიგ შემთხვევებში ფისკალური რისკების გაუთვალისწინებლობა, მაგალითად, მაკროეკონომიკური გარემოს მოულოდნელი განვითარების შედეგად სახელმწიფოს დამატებითი დანახარჯები, ან გადახრები შემოსავლების მოსალოდნელი დონიდან, იწვევს სახელმწიფოს ვალდებულებების ზრდას, რეფინანსირების სიმძნელებს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მოკლე და საშუალოვადიან ფისკალურ მდგრადობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევაზე დაყრდნობით, ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა/გამჭვირვალობა პოზიტიურ კავშირშია ქვეყნის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგთან და მის წვდომასთან საერთაშორისო კაპიტალურ ბაზრებზე. ზემოაღნიშნულისა და ფისკალური რისკების შესახებ მეტი გამჭვირვალობის მიმართულებით ბოლო წლებში გამოვლენილი მზარდი საერთაშორისო ინტერესის

<sup>1</sup> Ter-Minassian T., 2008, „Fiscal Risks—Sources, Disclosure, and Management“, IMF Working Paper, (Washington, DC: International Monetary Fund)

გათვალისწინებით<sup>2</sup>, აღნიშნული ინფორმაციის წარდგენა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ხელს უწყობს ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება უშუალოდ ფისკალურ რისკებს, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენილი და ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები ეყრდნობა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ საბაზისო სცენარს 2016 წლისათვის: ეკონომიკური ზრდა 3%; ინფლაცია 5.5%; საქონლის იმპორტის ზრდა (4.5%) და 2015 წლისთვის ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის და საქონლის იმპორტის ზრდის მოსალოდნელ მაჩვენებლებს, შესაბამისად 2.8%, 4.0%-ის და 3%-ის ოდენობით. საყურადღებოა, რომ ბიუჯეტის პროექტის პირველი წარდგენისას აღნიშნული სცენარი ითვალისწინებდა 2016 წლისათვის შემდეგ საპროგნოზო მაჩვენებლებს: ეკონომიკური ზრდა 3%; ინფლაცია 4.5%; საქონლის იმპორტის ზრდა 3%. რაც შეეხება საბაზისო სცენარისაგან განსხვავებულ განვითარებებს, ცალკეულ შესაძლო პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტორებზე დაყრდნობით, გამოყოფილია შემდეგი სცენარები (რომლებიც მცირედით განსხვავდება პირველი წარდგენისას წარმოდგენილი მაჩვენებლებისაგან):

- **ოპტიმისტური სცენარი**, რომელიც ეყრდნობა 2016 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბაზისო სცენარზე მაღალ ეკონომიკურ ზრდას და მაღალ ინფლაციას (კერძოდ, ეკონომიკური ზრდა 4.4% და ინფლაცია 6.9%, 2016 წლისათვის), რაც გაზრდის ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს<sup>3</sup>.
- **პესიმისტური სცენარი**, რომელიც ეყრდნობა 2016 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბაზისო სცენარზე დაბალ ეკონომიკურ ზრდას 1.6%-ის ოდენობით და დაბალ ინფლაციას (კერძოდ, ეკონომიკურ ზრდას 1.6%-ის ოდენობით და ინფლაციას 4.1%-ის დონეზე, 2016 წლისათვის), რაც შეამცირებს ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს (იხ. ცხრილი 1)<sup>4</sup>.




დაიგრამა 1: ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და გადასახდელები განსხვავებული სცენარებით 2016 წლისათვის (მლნ ლარი).

<sup>2</sup> იხ. IMF Code and Manual of Good Practices on Fiscal Transparency (2001, 2007) and the OECD Best Practices for Budget Transparency (2001). Requirements to disclose certain fiscal risks are part of internationally- accepted accounting and statistical standards. In addition, disclosure of key contingent liabilities is required as a memorandum item to the balance sheet under statistical reporting standards, such as the Government Finance Statistics Manual 2001.

<sup>3</sup> აღნიშნული სცენარი გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს პოზიტიური განვითარების შენარჩუნებას მთელი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში.

<sup>4</sup> აღნიშნული სცენარი გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს ნეგატიური განვითარების შენარჩუნებას მთელი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში.



დიაგრამა 2: ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და გადასახდელები განსხვავებული სცენარებით 2019 წლისათვის (მლნ ლარი).

რაც შეეხება შესაბამისი სცენარებისათვის საბიუჯეტო აგრეგატების მოსალოდნელ ცვლილებას და მთავრობის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკის პასუხებს (იხ. დიაგრამები 1 & 2):

- პოზიტიური სცენარის შემთხვევაში**, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2016 წლისათვის 172 მლნ ლარით იზრდება საბაზისოსთან შედარებით. აღნიშნულის პასუხად, წარმოდგენილი სცენარით არაა გათვალისწინებული არაფინანსური აქტივების შემცირების (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) მიმდინარე ხარჯების ზრდა, რაც განაპირობებს ბიუჯეტის დეფიციტის გაუმჯობესებას. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ცვლილებები საბაზისო სცენარს უტოლდება, კერძოდ, 2019 წლისათვის გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების ზრდა 9,955 მლნ ლარამდე, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) ზრდა 2,823 მლნ ლარამდე. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, საყურადღებოა, რომ ოპტიმისტური სცენარით გათვალისწინებული ფისკალური პოლიტიკის პასუხები, კერძოდ, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების სტაბილურობის შენარჩუნება ბიუჯეტის დეფიციტის გაუმჯობესებისათვის მოითხოვს მკაცრ ფისკალურ დისციპლინას, რაც შესაძლებელია რთულად განსახორციელებელი იყოს.
- ნეგატიური სცენარის შემთხვევაში**, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2016 წლისათვის 177 მლნ ლარით მცირდება საბაზისოსთან შედარებით. აღნიშნულ სცენარში მთავრობის პოლიტიკის პასუხად წარმოდგენილია ბიუჯეტის დეფიციტის საბაზისო დონეზე შენარჩუნება და ამისათვის 2016 წლისათვის გათვალისწინებულია საბაზისოსთან შედარებით კაპიტალური ხარჯების შემცირება ამავე ოდენობით - 177 მლნ ლარით, თუმცა საბაზისო სცენარის დონეზე ნარჩუნდება მიმდინარე ხარჯების ოდენობა. ამასთან პოლიტიკის პასუხად მითითებულია „2017 წლის ბიუჯეტში 2016 წლის კაპიტალური ხარჯების დანაკარგების კომპენსირება და მიმდინარე ხარჯების ზრდის შეჩერება“. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია საბაზისო სცენართან შედარებით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) მასშტაბური შემცირება (1 მლრდ ლარით) და მიმდინარე ხარჯების ზრდა საბაზისო სცენარის დონეზე. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მაკროეკონომიკური გარემოს პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში გათვალისწინებული პოლიტიკის პასუხები, კერძოდ, ეკონომიკური ზრდის შენელების პასუხად კაპიტალური ხარჯების მასშტაბური შემცირება კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე საშუალოვადიან პერიოდში, ასევე პოლიტიკის პასუხებში ნახსენები დანაკარგების 2017 წელს კომპენსირების და მიმდინარე ხარჯების ზრდის შეჩერება მოითხოვს კიდევ უფრო მკაცრ ფისკალურ დისციპლინას,

რადგან კომპენსაცია გულისხმობს არაფინანსური აქტივების უფრო მეტ ზრდას, ვიდრე საბაზისო სცენარში იყო გათვალისწინებული და მიმდინარე ხარჯების არათუ ზრდის შეჩერებას, არამედ საბაზისო სცენართან შედარებით კლებას.


## 1.2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები

რაც შეეხება კონკრეტული პერიოდისათვის ფისკალური გარემოს ანალიზს, პირველი საკითხი ფისკალური პოლიტიკის მიმართულების-ექსპანსიური თუ შემზღუდველი-შეფასებაა. ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის მეშვეობით დეფიციტის ზრდას, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ეკონომიკის სტიმულირებისათვის. საპირისპირო მიმართულების ფისკალურ ღონისძიებებს წარმოადგენს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა. მეორე საკითხი კი ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასებაა ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ შესაძლებელია შეფასდეს გამოშვების (მშპ-ს) პოტენციური დონიდან ფაქტიური გამოშვების გადახრის მიმართულებითა და ზომით. მაგალითად, ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას და პირიქით, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური ბუმისას ანტიციკლურ ფისკალურ პოლიტიკად მოიხსენიებენ, რამდენადაც ასეთ დროს ფისკალური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური ციკლის გავლენის განეიტრალებას ეკონომიკაზე. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მისაღებად მიიჩნევა არა ანტიციკლური, არამედ პროციკლური ფისკალური პოლიტიკა, მაგალითად მაღალი საგარეო დისბალანსის პირობებში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეფასებას, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული მიმართულების ანალიზს ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში.

საერთაშორისო პრაქტიკით, მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური ღონისძიებების ძირითადი მიმართულებებისა და ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენის შესაფასებლად გამოიყენება განსხვავებული ფისკალური ინდიკატორები (ფისკალურ ინდიკატორებთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ფისკალური გარემოს მიმოხილვა, ივნისი, 2015). ხაზგასასმელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული ნაერთი ბიუჯეტის და არა სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებს. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული მაჩვენებლები ინფორმაციული ხასიათისაა და არ მტკიცდება პარლამენტის მიერ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 38, პუნქტი 8).

პირველ რიგში, ფისკალური ინდიკატორები მოიცავს ბიუჯეტის ბალანსის მაჩვენებელს, რომელიც არსებული კანონმდებლობით გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) მიხედვით (ბიუჯეტის ბალანსთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მეთოდოლოგიური განმარტება ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების შესახებ). შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასებისას პირველ რიგში, მიზანშეწონილია განხილულ იქნას სწორედ აღნიშნული მაჩვენებლის დინამიკა. თუმცა ამასთანავე საყურადღებოა განხილულ იქნას მთლიანი ფისკალური ბალანსის მაჩვენებელი, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკით ეკონომიკური ანალიზისათვის უფრო აქტიურად

გამოიყენება. მთლიანი ფისკალური ბალანსი წარმოადგენს ბიუჯეტის მთლიანი სალდოს, კორექტირებულს ოპერაციების რეკლასიფიკაციით. აღნიშნული ინდიკატორების დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამაზე 3. როგორც დიაგრამა 3-დან ჩანს, 2016 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის ბალანსის (GFSM 2001) მაჩვენებელი შემცირების ტენდენციას ავლენს და მშპ-თან მიმართებაში -1.1%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბიუჯეტის კანონის მიხედვით ანალოგიური მაჩვენებელი -1.2%-ს უტოლდებოდა. აღნიშნული გაუმჯობესება ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლების ზრდასთან. კერძოდ, 2016 წლის ბიუჯეტის კანონის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2016 წლისათვის 205 მლნ ლარით აღემატება 2015 წლის ბიუჯეტის კანონს თანდართული მონაცემებით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება ფისკალური ბალანსის მოცულობას, 2016 წლისათვის ფისკალური ბალანსის მოცულობა შენარჩუნებულია -3.0% ის დონეზე.




დიაგრამა 3: ბიუჯეტის ბალანსი %-ად მშპ-თან.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ბალანსის ზემოთ წარმოდგენილი მაჩვენებლები მოიცავს როგორც ეკონომიკური გარემოს (გამომშვების გაპის) ზეგავლენას ფისკალურ გარემოზე (ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების გავლენით), ისე მთავრობის დისკრეციულ ფისკალურ ღონისძიებებს. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას სრულყოფილი სურათი, აუცილებელია ცალ-ცალკე შეფასდეს როგორც დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულება, ასევე ეკონომიკური ციკლის გავლენა საბიუჯეტო აგრეგატებზე. დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შესაფასებლად მიზანშეწონილია ციკლურად კორექტირებული ბალანსის და სტრუქტურული ბალანსის მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც ბიუჯეტის ბალანსის აგრეგატებს აკორექტირებს ეკონომიკური ციკლის ეტაპის მიხედვით და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლისაგან ამორიცხავს ეკონომიკური ციკლის გავლენას. აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ციკლის ეტაპი ფასდება გამოშვების გაპის (რეალური მშპ-ს გადახრა მისი პოტენციური დონიდან) მოცულობით, რომელიც პირდაპირ დაკვირვებას არ ექვემდებარება და სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდებით გაანგარიშებული მისი მოცულობა ასახავს ეკონომიკური ციკლის ეტაპის ზოგად მიმართულებას (გამომშვების გაპის შესახებ იხ. საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია „გამომშვების გაპი: არსი და შეფასება“). გასათვალისწინებელია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის ციკლურად კორექტირებისას ამორიცხება მხოლოდ გამოშვების გაპის ცვლილებასთან დაკავშირებული დროებითი ფაქტორების ანუ ეკონომიკური გარემოს გავლენა. ხოლო სტრუქტურული ბალანსი ითვალისწინებს როგორც ეკონომიკური ციკლის გავლენას ფისკალურ ცვლადებზე, ასევე ამორიცხავს შემოსავლებისა და გადასახადების ერთჯერად, დროებით კომპონენტებს, რათა წარმოდგენილი მაჩვენებელი ასახავდეს დისკრეციული გადაწყვეტილებების საფუძველზე მიღებულ ფისკალურ შედეგებს, დროებითი ფაქტორების გავლენის გამორიცხვით. აქვე


აღსანიშნავია, რომ დროებითი ფაქტორების ამორიცხვა სპეციფიკურია ქვეყნის ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურის მიხედვით, შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტების შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ანალიტიკოსთა სუბიექტურ განსჯას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია GFSM 2001 კლასიფიკაციის საფუძველზე გაანგარიშებული ციკლურად კორექტირებული ბიუჯეტის ბალანსის და სტრუქტურული ბიუჯეტის ბალანსის დინამიკა. როგორც დიაგრამა #4-დან ჩანს, 2016 წლის ბიუჯეტის კანონს თანდართული ნაერთი ბიუჯეტით 2016 წლისათვის ციკლურად კორექტირებული ბიუჯეტის ბალანსის და სტრუქტურული ბალანსის მაჩვენებლები, შესაბამისად -0.2%-ს და -0.5%-ს შეადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან შედარებით ციკლურად კორექტირებული ბალანსი იმავე დონეზეა შენარჩუნებული, ხოლო სტრუქტურული ბალანსი 2016 წლისათვის გაუარესების ტენდენციას ავლენს.



დიაგრამა 4: ბიუჯეტის ბალანსი (%-ად პოტენციურ მშპ-თან).

იქედან გამომდინარე, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში ეკონომიკური ანალიზისათვის ფისკალური ბალანსი უფრო აქტიურად გამოიყენება, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მთლიანი ფისკალური ბალანსის საფუძველზე გაანგარიშებული ციკლურად კორექტირებული და სტრუქტურული ბალანსები. როგორც დიაგრამიდან ვლინდება, 2016 წლის კანონის ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით 2016 წლისათვის ციკლურად კორექტირებული ფისკალური ბალანსის მოცულობა გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს და -2.1%-ს უტოლდება, ხოლო სტრუქტურული ფისკალური ბალანსის მაჩვენებელი იმავე დონეზე -2.3%-ზე არის შენარჩუნებული (იხ დიაგრამა #5).



დიაგრამა 5: ბიუჯეტის ფისკალური ბალანსი (%-ად პოტენციურ მშპ-თან).

## 2. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიმოხილვა

### 2.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2016 წლისთვის განსაზღვრულია 10,145 მლნ ლარის დონეზე და ბიუჯეტის პირველ წარდგენასთან შედარებით იზრდება 225.0 მლნ ლარით (2.3%-ით), ძირითადად შემოსავლების (კერძოდ კი გადასახადების), აგრეთვე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით შემოსულობების მატების გავლენით. შესაბამისად, 2015 წელთან შედარებით შემოსულობების ზრდის მაჩვენებელიც იმატებს 400.0 მლნ ლარით (4.1%-ით). აღსანიშნავია, რომ 2015 წლის (ნოემბრის) დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულია წინა წელთან შედარებით შემოსულობების 6.4%-იანი ზრდა, ხოლო 2014 წელს ანალოგიური ზრდის ტემპი 18.7%-ს შეადგენდა.

	2014 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2016 წელი პროექტი (I - II)	2016 წელი პროექტი (III)	2016 წ. პროექტი (III) /2016 წ. პროექტი (I-II)		2016 წ. პროექტი (III) / 2015 წ. გეგმა	
					სხვაობა	%-ული ვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>შემოსულობები</b>	<b>9,157.1</b>	<b>9,745.0</b>	<b>9,920.0</b>	<b>10,145.0</b>	<b>225.0</b>	<b>2.3%</b>	<b>400.0</b>	<b>4.1%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>7,434.6</b>	<b>8,048.9</b>	<b>8,355.0</b>	<b>8,555.0</b>	<b>200.0</b>	<b>2.4%</b>	<b>506.1</b>	<b>6.3%</b>
გადასახადები	6,847.0	7,520.0	7,780.0	7,980.0	200.0	2.6%	460.0	6.1%
გრანტები	278.7	238.9	255.0	255.0	0.0	0.0%	16.1	6.7%
სხვა შემოსავლები	308.9	290.0	320.0	320.0	0.0	0.0%	30.0	10.3%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>80.6</b>	<b>280.0</b>	<b>200.0</b>	<b>225.0</b>	<b>25.0</b>	<b>12.5%</b>	<b>-55.0</b>	<b>-19.6%</b>
ფინანსური აქტივების კლება	72.1	85.0	90.0	90.0	0.0	0.0%	5.0	5.9%
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>1,569.7</b>	<b>1,331.1</b>	<b>1,275.0</b>	<b>1,275.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>-56.1</b>	<b>-4.2%</b>
საგარეო	996.9	1,016.1	1,075.0	1,075.0	0.0	0.0%	58.9	5.8%
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	515.1	470.0	395.0	395.0	0.0	0.0%	-75.0	-16.0%
საინვესტიციო გრძელვადიანი შელავთიანი კრედიტები	481.7	546.1	680.0	680.0	0.0	0.0%	133.9	24.5%
<b>საშინაო</b>	<b>572.8</b>	<b>315.0</b>	<b>200.0</b>	<b>200.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>-115.0</b>	<b>-36.5%</b>

**ცხრილი 1:** სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2014-2016 წლებში (მლნ ლარი).

კანონპროექტის მიხედვით, 2015 წელთან შედარებით, შემოსულობების აგრეგატული მაჩვენებლის ზრდა ითვალისწინებს როგორც საშინაო წყაროდან (გადასახადების-460.0 მლნ ლარით, სხვა შემოსავლების-30.0 მლნ ლარით და ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების-5.0 მლნ ლარის ოდენობით), ასევე საგარეო წყაროდან (გრანტების-16.1 მლნ ლარით და საინვესტიციო კრედიტების-133.9 მლნ ლარით) მოზიდული სახსრების მატებას. ამავდროულად, შემოსულობების ძირითადი კომპონენტები მცირდება: საშინაო წყაროდან - არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (55.0 მლნ ლარით) და საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები (115.0 მლნ ლარით), ხოლო საგარეო წყაროდან - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები (75.0 მლნ ლარით). შედეგად, ჯამური შემოსულობების ზრდა შეადგენს 400.0 მლნ ლარს.

რაც შეეხება შემოსავლებს (შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს) მისი საპროგნოზო სიდიდე 2015 წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 506.1 მლნ ლარით და შეადგენს 8,555.0 მლნ ლარს, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების

460.0 მლნ ლარის ოდენობით ზრდის გავლენით. ამასთან, თუ შემოსავლების ზრდის ტემპი 2014 წელს 8.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2015 წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულია 8.3%-იანი ზრდა, წარმოდგენილი კანონპროექტით აღნიშნული მაჩვენებელი მცირდება 6.3%-მდე.

### 2.1.1. საგადასახადო შემოსავლები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილ მაჩვენებლებს, საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი **7,980 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 2015 წლისათვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 6.1%-ით აღემატება**, რაც თავის მხრივ შესაძლებელია უკავშირდებოდეს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სახის მიმართვას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში.

2015 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმითა და 2016 წლის წარმოდგენილი კანონპროექტის მაჩვენებლების ანალიზით ვლინდება, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტულად ყველაზე მასშტაბური ზრდა გათვალისწინებულია აქციზისა და იმპორტის გადასახადებისათვის, შესაბამისად 17.7%-თა და 10.3%-ით. რაც შეეხება დღგ-ს და საშემოსავლოს სახით მიღებულ საგადასახადო შემოსავლებს, აღნიშნული მაჩვენებლები 2015 წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით იზრდება, შესაბამისად, 7.9%-ით და 2.4%-ით. ამასთან, მოგების სახით მისაღები შემოსავალი 2015 წლის გეგმასთან შედარებით 2.4%-ით მცირდება (იხ. ცხრილი 2).

საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი

	2010- 2011წწ	2011- 2012წწ	2012- 2013წწ	2013- 2014წწ	2014- 2015წწ	2015- 2016წწ*	2015- 2016წწ*
					გეგმა	პროექტი (I- II წარდგენა)	პროექტი (III წარდგენა)
საგადასახადო შემოსავლები	26.3%	8.8%	-0.4%	10.9%*	9.8%	3.5%	6.1%
საშემოსავლო გადასახადი	28.6%	13.7%	9.7%	6.9%*	13.8%	-0.2%	2.4%
მოგების გადასახადი	44.5%	2.3%	-5.2%	2.8%	21.1%	-4.9%	-2.4%
დამატებული ღირებულების გადასახადი	26.4%	9.2%	-6.3%	15.8%	6.9%	7.0%	7.9%
აქციზი	9.7%	7.2%	9.5%	12.2%	6.1%	7.2%	17.7%
იმპორტის გადასახადი	32.4%	-3.4%	-0.8%	6.2%	-28.3%	7.4%	10.3%
სხვა გადასახადები	-40.4%	-10.3%	-26.2%	-9.1%	3.5%	0.0%	0.0%

ცხრილი 2: საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი (% , 2010-2015 წწ);

\* საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებისათვის ხაზინის შესაბამის ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრები (სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა სახსრებმა ჯამში 128.3 მლნ შეადგინა).

საგადასახადო შემოსავლების წარმოდგენილი მაჩვენებლების საფუძვლიანობის შეფასებისათვის უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დამოუკიდებელი საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც ეყრდნობა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ ეკონომიკურ პარამეტრებს: ეკონომიკური ზრდა 3%; ინფლაცია 5.5%; საქონლის იმპორტის ზრდა (4%). ამასთან, 2015 წლისთვის ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის მოსალოდნელ მაჩვენებლებს, შესაბამისად 2.8%-ის და 4.0%-ის ოდენობით. საყურადღებოა, რომ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებები არ ითვალისწინებს

მაკროეკონომიკური გარემოს წარმოდგენილი სცენარის ან მისი განსხვავებული განვითარებების ალბათობის შეფასებას, არამედ წარმოადგენს ეკონომიკური პარამეტრების შესაბამისი განვითარების შემთხვევაში ფისკალური აგრეგატების მოსალოდნელ დინამიკას. მაკროეკონომიკურ აგრეგატებსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის ელასტიურობის კოეფიციენტები<sup>5</sup> დაშვების საფუძველზე განისაზღვრება და ძირითად შემთხვევებში 1-ს უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადების ცალკეული ტიპებისათვის ელასტიურობის კოეფიციენტი შესაძლოა განსხვავდებოდეს, ელასტიურობის კოეფიციენტის 1-თან ტოლობის დაშვება დამატებითი კვლევების არარსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკით, მისაღებად ითვლება. პროგნოზი ასევე ითვალისწინებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, 2016 წლიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულების ბიუჯეტში მიიმართება საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სახე (ჯამურად, დაახლოებით 300 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. პროგნოზირებისას ასევე გათვალისწინებულია საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილება თამბაქოს ნაწარმსა და ალკოჰოლურ სასმელებზე გადასახადების ზრდას, რომლის შედეგადაც აქციზიდან მისაღები შემოსავლები 90 მლნ ლარით გაიზრდება ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით.

როგორც ცხრილი #3-დან ჩანს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წარმოდგენილი მაკროეკონომიკური სცენარით, 2016 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 8,033 მლნ ლარს, რაც 2016 წლისთვის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილ გეგმას 53.4 მლნ ლარით (0.7%-ით) აჭარბებს. აღნიშნული სხვაობა ძირითადად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლები აღემატება წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს მოგების გადასახადისა (127.1 მლნ ლარით) და დამატებითი ღირებულების გადასახადისათვის (69 მლნ ლარით). უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლისათვის ამ ტიპის გადასახადების შესრულების პროგნოზირებული მაჩვენებლები 10 თვის შესრულების მდგომარეობაზე დაყრდნობით ასევე აღემატება 2015 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებლებს (დეტალურად იხ. [საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ყოველთვიური მიმოხილვა იანვარ-ოქტომბერი](#)). რაც შეეხება გადასახადების სხვა ტიპებს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლები ნაკლებია წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ მაჩვენებლებზე საშემოსავლო გადასახადისათვის (95.8 მლნ ლარით და წარმოდგენილი მაჩვენებლის 4.6%-ით), აქციზისა (44.1 მლნ ლარით და წარმოდგენილი მაჩვენებლის 4.4%-ით) და იმპორტის გადასახადისთვის (3.8 მლნ ლარით და წარმოდგენილი მაჩვენებლის 5.1%-ით).

საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (BDD-ით განსაზღვრული საბაზისო სცენარით)

	პროექტი (2016 წელი)		სხვაობა (III წარდგენა/ I-II წარდგენა)		საპროგნოზო მაჩვენებლების გადახრა ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმიდან		
	I-II წარდგენა	III წარდგენა	მლნ ლარი	%	პროგნოზი* (2016 წელი)	მლნ ლარი	%
საგადასახადო შემოსავლები	7,780.0	7,980.0	200.0	2.6%	8,033.4	53.4	0.7%
საშემოსავლო გადასახადი	2,033.0	2,086.0	53.0	2.6%	1,990.2	-95.8	-4.6%

<sup>5</sup> ელასტიურობის კოეფიციენტი ასახავს საგადასახადო შემოსავლების (ცალკეული ტიპების მიხედვით) %-ულ ცვლილებას ეკონომიკური პარამეტრების 1%-ით ცვლილების შედეგად.

მოგების გადასახადი	955.0	980.0	25.0	2.6%	1,107.1	127.1	13.0%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,772.0	3,802.0	30.0	0.8%	3,871.5	69.5	1.8%
აქციზი	922.0	1,012.0	90.0	9.8%	967.9	-44.1	-4.4%
იმპორტის გადასახადი	73.0	75.0	2.0	2.7%	71.2	-3.8	-5.1%
სხვა გადასახადები	25.0	25.0	0.0	0.0%	25.6	0.6	2.4%

\* საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მისაღებად გათვალისწინებულია 2015 წლის 10 თვის მაჩვენებლების ექსტრაპოლაციაზე დაყრდნობით 2015 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლები, ასევე 2016 წლისთვის ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის დონის, საქონლის იმპორტის ზრდის მონაცემები BDD-ის მიხედვით.

**ცხრილი 3:** საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი საბაზისო სცენარით (მლნ ლარი, 2016 წელი).

რაც შეეხება ოპტიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში საგადასახადო შემოსავლების პროგნოზს, როგორც ცხრილი #4-დან ჩანს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წარმოდგენილი მაკროეკონომიკური სცენარით (მშპ-ს რეალური ზრდა 4.4%, ინფლაციის დონე 6.9% და საქონლის იმპორტის ზრდა 7.7%), 2016 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 8,208.6 მლნ ლარს, რაც 2016 წლისთვის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილ გეგმას 228.6 მლნ ლარით (2.9%-ით), ხოლო საბაზისო სცენარით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით წარმოდგენილ მაჩვენებელს 175.2 მლნ ლარით აჭარბებს. ხოლო პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში, როგორც ცხრილი #5-დან ჩანს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წარმოდგენილი მაკროეკონომიკური სცენარით (მშპ-ს რეალური ზრდა 1.6%, ინფლაციის დონე 4.1% და საქონლის იმპორტის ზრდა 0.3%), 2016 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 7,860.4 მლნ ლარს, რაც 2016 წლისთვის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილ გეგმაზე 119.6 მლნ ლარით (1.5%-ით), ხოლო საბაზისო სცენარით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით წარმოდგენილ მაჩვენებელზე 173 მლნ ლარით ნაკლებია.

**საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (წარმოდგენილი ოპტიმისტური სცენარით)**

	პროექტი (2016 წელი)		სხვაობა (III წარდგენა/ I-II წარდგენა)		პროგნოზი* (2016 წელი)	საპროგნოზო მაჩვენებლების გადახრა ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმიდან	
	I-II წარდგენა	III წარდგენა	მლნ ლარი	%		მლნ ლარი	%
საგადასახადო შემოსავლები	7,780.0	7,980.0	200.0	2.6%	8,208.6	228.6	2.9%
საშემოსავლო გადასახადი	2,033.0	2,086.0	53.0	2.6%	2,052.1	-33.9	-1.6%
მოგების გადასახადი	955.0	980.0	25.0	2.6%	1,107.1	127.1	13.0%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,772.0	3,802.0	30.0	0.8%	3,976.2	174.2	4.6%
აქციზი	922.0	1,012.0	90.0	9.8%	973.9	-38.1	-3.8%
იმპორტის გადასახადი	73.0	75.0	2.0	2.7%	73.7	-1.3	-1.7%
სხვა გადასახადები	25.0	25.0	0.0	0.0%	25.6	0.6	2.4%

\* საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მისაღებად გათვალისწინებულია 2015 წლის 10 თვის მაჩვენებლების ექსტრაპოლაციაზე დაყრდნობით 2015 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლები, ასევე 2016 წლისთვის ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის დონის, საქონლის იმპორტის ზრდის მონაცემები BDD-ის მიხედვით.

**ცხრილი 4:** საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი ოპტიმისტური სცენარით (მლნ ლარი, 2016 წელი).

**საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (წარმოდგენილი პესიმისტური სცენარით)**

	პროექტი (2016 წელი)		სხვაობა (III წარდგენა/ I-II წარდგენა)		პროგნოზი* (2016 წელი)	საპროგნოზო მაჩვენებლების გადახრა ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმიდან	
	I-II წარდგენა	III წარდგენა	მლნ ლარი	%		მლნ ლარი	%
საგადასახადო შემოსავლები	7,780.0	7,980.0	200.0	2.6%	7,860.4	-119.6	-1.5%
საშემოსავლო გადასახადი	2,033.0	2,086.0	53.0	2.6%	1,929.1	-156.9	-7.5%
მოგების გადასახადი	955.0	980.0	25.0	2.6%	1,107.1	127.1	13.0%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,772.0	3,802.0	30.0	0.8%	3,768.2	-33.8	-0.9%
აქციზი	922.0	1,012.0	90.0	9.8%	961.8	-50.2	-5.0%
იმპორტის გადასახადი	73.0	75.0	2.0	2.7%	68.6	-6.4	-8.5%
სხვა გადასახადები	25.0	25.0	0.0	0.0%	25.6	0.6	2.4%

\* საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მისაღებად გათვალისწინებულია 2015 წლის 8 თვის მაჩვენებლების ექსტრაპოლაციაზე დაყრდნობით 2015 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლები, ასევე 2016 წლისთვის ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის დონის, საქონლის იმპორტის ზრდის მონაცემები BDD-ის მიხედვით.

**ცხრილი 5:** საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი პესიმისტური სცენარით (მლნ ლარი, 2016 წელი).

**2.1.2. შემოსულობების სხვა კომპონენტები**

წარმოდგენილი კანონპროექტით, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა კანონპროექტის წინა ვერსიით წარმოდგენილი მაჩვენებლის დონეზე, 320.0 მლნ ლარის ოდენობით. მიმდინარე წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ საგეგმო მაჩვენებელთან შედარებით იგი იზრდება 30.0 მლნ ლარით (10.3%-ით). ზრდა ძირითადად ეხება შერეულ და არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს, რომლის გეგმიური მოცულობაც იზრდება 26.2 მლნ ლარით, 107.2 მლნ ლარამდე.

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2016 წელი	2016 წ. პროექტი (III) / 2016 წ. პროექტი (I-II)		2016 წ. პროექტი (III) / 2015 წ. გეგმა	
	წელი ფაქტი	წელი გეგმა	წელი პროექტი (I - II)	წელი პროექტი (III)	სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
სხვა შემოსავლები	308.9	290.0	320.0	320.0	0.0	0.0%	30.0	10.3%
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>28.7</b>	<b>63.7</b>	<b>64.5</b>	<b>64.5</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>0.8</b>	<b>1.3%</b>
პროცენტები	22.1	44.2	50.0	50.0	0.0	0.0%	5.8	13.1%
დივიდენდები	0.2	0.5	2.5	2.5	0.0	0.0%	2.0	400.0%
რენტა	6.4	19.0	12.0	12.0	0.0	0.0%	-7.0	-36.8%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	83.4	75.0	75.9	75.9	0.0	0.0%	0.9	1.3%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	73.9	68.0	70.0	70.0	0.0	0.0%	2.0	2.9%
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	21.6	2.3	2.4	2.4	0.0	0.0%	0.1	4.3%

<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>101.3</b>	<b>81.1</b>	<b>107.2</b>	<b>107.2</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>26.2</b>	<b>32.3%</b>
---	--------------	-------------	--------------	--------------	------------	-------------	-------------	--------------

**ცხრილი 6:** სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2014-2016 წლებში (მლნ ლარი).

2016 წლისთვის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 255.0 მლნ ლარის დონეზე (კანონპროექტის წინა ვარიანტით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით არ შეცვლილა). მათ შორის, საბიუჯეტო გრანტები შეადგენს 125.0 მლნ ლარს, ხოლო საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები - 130.0 მლნ ლარს. გრანტების ჯამური სიდიდე 16.1 მლნ ლარით აღემატება 2015 წლის გეგმურ მაჩვენებელს: იზრდება საინვესტიციო გრანტების გეგმური მაჩვენებელი 27.1 მლნ ლარით და 11.0 მლნ ლარით მცირდება საბიუჯეტო გრანტების გეგმური მაჩვენებელი.

რაც შეეხება შემოსულობების სხვა კომპონენტებს, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი, წარმოდგენილი კანონპროექტით, 225.0 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, 25.0 მლნ ლარით მეტი ოდენობით, ვიდრე წინა ვერსიით იყო წარმოდგენილი. ზრდა ეხება ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მისაღებ სახსრებს.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით კი არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხები მცირდება 55.0 მლნ ლარით (19.6%-ით), ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მისაღები შემოსულობების 53.8 მლნ ლარით კლების გავლენით. 2015 წლის გეგმურ მაჩვენებელს უახლოვდება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან და მიწის რეალიზაციიდან შემოსულობების გეგმური მაჩვენებლები 2016 წლისათვის და შეადგენს შესაბამისად, 150 მლნ ლარს და 2.0 მლნ ლარს.

	2014 წელი ფაქტი	2015 წელი გეგმა	2016 წელი პროექტი (I - II)	2016 წელი პროექტი (III)	2016 წ. პროექტი (III) / 2016 წ. პროექტი (I-II)		2016 წ. პროექტი (III) / 2015 წ. გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>80.6</b>	<b>280.0</b>	<b>200.0</b>	<b>225.0</b>	<b>25.0</b>	<b>12.5%</b>	<b>-55.0</b>	<b>-19.6%</b>
ძირითადი აქტივები	60.7	126.8	48.0	73.0	25.0	52.1%	-53.8	-42.4%
მატერიალური მარაგები	0.1							
